


შპს "დებენი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-114586	536597
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-321287	-60000
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-435873	476597
სავალუტო კურსის ეფექტი	2128	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	478654	2057
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	44909	478654

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.

დირექტორის მ.შ.:  არტაკ ხაჩატრიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	44909	478654	2057	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	758135	798654	540521	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	911808	589027	529026	3.2
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები				
მ.შ. - შზა პროდუქცია				
- სხვა				
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	184549	273178	261642	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12288	30720	49152	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	1911689	2170233	1382398	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	218369	174811	157626	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	350	350	352	
საგადასახადო ვალდებულებები		158205	140058	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	274880	404698		3.4
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			475462	
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	493599	738064	773498	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1418090	1432169	608900	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	1418090	1432169	608900	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1911689	2170233	1382398	
სულ მოკლევადიანი აქტივები	1899401	2139513	1333246	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	493599	738064	298036	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.

დირექტორის მ.შ.  არტაკ ხაჩატრიანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2024	2023	
ნეტო ამონაგები	2231013	2541905	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	2231013	2541905	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება			
საერთო მოგება	2231013	2541905	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-44420	-43126	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-18432	-18433	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-2011305	-1648612	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-14613	-8462	3.6
სულ საოპერაციო ხარჯები	-2088770	-1718633	
საოპერაციო მოგება	142243	823272	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	3623		
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-159945	-3	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-14079	823269	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-14079	823269	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	-14079	823269	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1432169	608900	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1418090	1432169	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.

დირექტორის მ.შ.: 404888662

არტაკ ხაჩატრიანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნებში არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „დებენი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "დებენი"					
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
ერთეული: 1 GEL					შენიშვნა
		საანგარიშგებო თარიღი			
		31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		44909	478654	2057	3,1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		758135	798654	540521	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		911808	589027	649161	3,2
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები					
მარაგები					
მ.შ. - მზა პროდუქცია					
- სხვა					
საინვესტიციო ქონება					
სხვა მოკლევადიანი აქტივები		184549	273178	141507	
ბიოლოგიური აქტივები					
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით					
- გადაფასების მოდელით					
გუდვილი					
სხვა არამატერიალური აქტივები					
ძირითადი საშუალებები		12288	30720	49152	3,3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში					
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში					
სხვა გრძელვადიანი აქტივები					
სულ აქტივები		1911689	2170233	1382398	
ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულება					
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი					
სავაჭრო ვალდებულებები		218369	174811	157627	
ანარიცხები					
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		350	350	2	
საგადასახადო ვალდებულებები			158205	140057	
გამოუმუშავებელი შემოსავალი		274880	404698		
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები					
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				475462	3,4
მიღებული გრანტები					
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები					
სხვა ვალდებულებები				350	
სულ ვალდებულებები		493599	738064	773498	
საკუთარი კაპიტალი					
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)					
საემისიო შემოსავალი					
გამოსყიდული საკუთარი აქციები					
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი		1418090	1432169	608900	
გადაფასების რეზერვი					
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები					
სულ საკუთარი კაპიტალი		1418090	1432169	608900	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1911689	2170233	1382398	
სულ მოკლევადიანი აქტივები		1899401	2139513	608900	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		493599	738064	298036	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად		30.09.2025 წ.			
დირექტორის მ.შ.: _____		არტაკ ხაჩატრიანი			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.					2

შპს "დებენი"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	შენიშვნა
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2024	2023	
ნეტო ამონაგები	2231013	2541905	3,5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	2231013	2541905	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება			
საერთო მოგება	2231013	2541905	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-44420	-43126	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-18432	-18433	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-2011304	-1648612	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-14614	-8462	3,6
სულ საოპერაციო ხარჯები	-2088770	-1718633	
საოპერაციო მოგება	142243	823272	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	3623		
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-159945	-3	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-14079	823269	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-14079	823269	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკვ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-14079	823269	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1432169	608900	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1418090	1432169	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.			
დირექტორის მ.შ.: _____		არტაკ ხაჩატრიანი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "დებენი"			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
	ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2024	2023	
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-114586	536597	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-321287	-60000	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-435873	476597	
სავალუტო კურსის ეფექტი	2128		
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	478654	2057	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	44909	478654	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.			
დირექტორის მ.შ.: _____	არტაკ ხაჩატრიანი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „დებენი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2011 წლის 21 თებერვალს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404888662, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, პეკინის გამზ. N4. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელი არის: კარლო ათოიან, სომხეთი (პ/ნ AT0653392) - 100% წილის მფლობელი.

1.3. კომპანიის დირექტორი არის: კარლო ათოიან, სომხეთი (პ/ნ AT0653392) - 100%.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ტანსაცმლით ვაჭრობა. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 1 ადგილიდან (თბილისში). თანამშრომელთა საშუალო რიცხოვნობა 2024 წელს შეადგენდა 3 ადამიანს.

1.6. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს მეკავშირე საწარმო.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა

ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი (გაუფასურების ზარალის გამოკლებით).

ასევე, თვითღირებულების მოდელი (თვითღირებულება, გაუფასურების ზარალის გამოკლებით) გამოიყენება მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

ოფისის აღჭურვილობა – 5 წელი

კომპიუტერული ტექნიკა – 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები – 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები – 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომელთათვის ეს დებულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან (სადაზღვევო კომპანიებისათვის – 2024 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ია.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

31.12.2024 წლის მდგომარეობით: 1 USD=2.8068 ლარი; 1 EUR=2.9306 ლარი.

31.12.2023 წლის მდგომარეობით: 1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე	44909	478654	2057
სულ:	44909	478654	20576

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს კომერციულ ერთ ბანკში – სს „თიბისი ბანკში“.

3.2. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
გაცემული სესხები	911782	589000	529000
გაცემული ავანსი	26	27	26
მისაღები პროცენტები			120135
სულ:	911808	589027	649161

3.3. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	12288	30720	49152
სულ:	12288	30720	49152

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.4. ნასესხები სახსრები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიღებული ავანსი			475462
სულ:			475462

3.5. ნეტო ამონაგები :

	2024 წელი	2023 წელი
საქონლის რეალიზაცია	2234641	2541905
სულ:	2234641	2541905

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2024 წელი	2023 წელი
საგადასახადო ხარჯები	(215)	(400)
საბანკო ხარჯები	(111)	(30)
საკონსულტაციო ხარჯები	(8340)	(8032)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(5948)	
სულ:	-14614	-8462

3.7. სასამართლო დავები:

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.